ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №312528

ნომერი: AR172871

თარიღი : 13.08.2012

გაცემის თარიღი : 17.08.2012

გაცნობის თარიღი : 17.08.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/12) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/11) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ღელეყვა პ/ნ 33001012851
- ოზურგეთი ს. ნატანები

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ ფავლენიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ "არჩილ ფავლენიშვილი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01009003527

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და

თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N33, 14.08.12 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ნ. ჩხეიძის ქ. N37–სა და N43–ს შორის, ნ. ჩხეიძის ქ. N43/ჩხეიძის ქ. N37–სა და N43–ს შორის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წარმოდგენილ ესკიზურ პროექტს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "ჩხეიძის ქუჩის მხრიდან უნდა იყოს 3 სართული".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ა. ღელეყვას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეტქვას. მოქ. ა. ღელეყვას, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ნ. ჩხეიძის ქ. N37–სა და N43–ს შორის, ნ. ჩხეიძის ქ. N43/ჩხეიძის ქ. N37–სა და N43–ს შორის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.